ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

მერაბ ჭოხონელიძის ამომრჩევლებთან

საანგარიშო შეხვედრის

ოქმი N2

27 ოქტომბერი, 2023 წელი, 16:30 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქ. ქუთაისი, შპს ,,მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის“

საკონფერენციო დარბაზი

შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი მერაბ ჭოხონელიძე.

შეხვედრას ესწრებოდნენ: შპს ,,მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის“ პედაგოგები, საზოგადოება ,, ბაღისკიდე''-ს წევრები . მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ირაკლი შენგელია, თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გია ბასილაძე, თემურ ნადირაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბაქარ მახარაძე, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ამირან კოპალეიშვილი, კულტურის, განათლების, ახალგაზდრობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექა ქებულაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ბატონი ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლია ჩახუნაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო კიკნაველიძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ბატონმა მერაბ ჭოხონელიძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დღის წესრიგი:

საკრებულოს წევრის, მერაბ ჭოხონელიძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მერაბ ჭოხონელიძე. ისაუბრა, როგორც საკრებულოს , საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების საქმიანობისას შემუშავებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

,, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, გავხდი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან". საკრებულოში ვარ საფინანსო-საბიუჯეტო, აგრეთვე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისისის ყველა , საკრებულოს 12 რიგით და 4 რიგგარეშე სხდომას.

აქტიური კომინიკაცია მაქვს მოსახლეობასთან, რომლებიც მომმართავენ არამარტო იმ საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი კომისიების კომპეტენციაშია, არამედ ისეთ საკიხებზეც, რომლებიც ეხება ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჩემს მიერ დასმული იქნა არაერთი საკითხი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რომელთა მოგვარებაც აუცილებლი იყო. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ჩემი აქტიურობა მერიის იმ პროექტთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების აბიტურიენტთა მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის და როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების მოსწავლეთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობასთან დაკავშირებით.

ვაგრძელებ მოსახლეობასთან შეხვედრას მათი პრობლემების მოსაგვარებლად“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ნუნუ ფულარიანი: ,, მადლობას გიხდით დაპატიჟებისთვის, მინდა მოგმართოთ თხოვნით და შეკითხვით, არის თუ არა შესაძლებელი პედაგოგებისთვის ტრანსპორტის თანხის შეღავათის გათვალისწინება?“

ბატონი მერაბ ჭოხონელიძე: ,,ეტაპობრივად მიმდინარეობს სხვადასხვა საშეღავათო პირობების დათვლა. ამ საკითხზე იყო კომისიის ფარგლებში არაერთი შეხვედრა, თუმცა კიდევ საჭიროებს უფღო დეტალურ განხილვას“.

ბატონი მერაბ გრიგალაშვილი: ,,მინდა ,,ბაღისკიდის'' სახელით მადლობა გადაგიხადოთ თქვენს მიერ შესრულებული სამუშაოების გამო“.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონი მერაბ ჭოხონელიძის საანგარიშო შეხვედრა ერთი წლის განმავლობაში გაწეული გაწეული მუშაობის თაობაზე დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი
მერაბ ჭოხონელიძე

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული
განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
სოფიო კიკნაველიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მერაბ ჭოხონელიძის საანგარიშო შეხვედრა მოსახლეობასთან

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, გავხდი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან". საკრებულოში ვარ საფინანსო-საბიუჯეტო, აგრეთვე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. მუშაობის 2 წლის მანძილზე დავესწარი კომისისის ყველა და საკრებულოს 23 რიგით და 10 რიგგარეშე სხდომას.

აქტიური კომინიკაცია მაქვს მოსახლეობასთან, რომლებიც მომმართავენ არამარტო იმ საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი კომისიების კომპეტენციაშია, არამედ ისეთ საკიხებზეც, რომლებიც ეხება ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჩემს მიერ დასმული იქნა არაერთი საკითხი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რომელთა მოგვარებაც აუცილებლი იყო. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ჩემი აქტიურობა მერიის იმ პროექტთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების აბიტურიენტთა მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის და როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების მოსწავლეთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობასთან დაკავშირებით.

ვაგრძელებ მოსახლეობასთან შეხვედრას მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

მერაბ ჭოხონელიძე